

ყოველკვირეული განახლება  
მთავარი ეკონომისტისგან



თიბისი კაპიტალი

ყოველკვირეული  
განახლება  
მთავარი ეკონომისტისგან  
15.11.2021


[www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge)

ლარზე ზენოლის შემდეგ, რაც ძირითადად სავარაუდოდ [არჩევნების შემდგომი გაუფასურების მოლოდინებითა](#) და მასთან დაკავშირებული ეროვნულიდან უცხოურ ვალუტაში კონვერტაციებით იყო გამოწვეული, [როგორც მოსალოდნელი იყო](#), ბაზარზე აღნიშნული კონვერტაციების შებრუნების ნიშნები გამოჩნდა. საკუთრივ, როგორც სებ-ის ფულადი აგრეგატების ყოველდღიური მონაცემების შეფასება მიუთითებს, ლარის დეპოზიტების ზრდა წინა თვესთან შედარებით გაძლიერდა, ვალუტის დეპოზიტები კი მნიშვნელოვნად შემცირდა. მართლაც, [ლარისა და ვალუტის დეპოზიტებს შორის რეკორდულად მაღალმა საპროცენტო დიფერენციალმა](#), არჩევნების შემდეგ ეროვნული ვალუტის შედარებით სტაბილურობის პირობებში, ლარში ინვესტირება უნდა გააძლიეროს.

სამომავლოდ, ლარისადმი გაზრდილი ინტერესი არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდაშიც უნდა აისახოს, თუმცა, ისტორიულად, ეს უფრო მეტად [აშშ დოლარის განაკვეთებზე დამოკიდებული](#).


რაც შეეხება თავად აშშ-ში განვითარებულ მოვლენებს, გასული კვირა ლარისთვის პოზიტიური არ იყო. კერძოდ, აშშ-ში ინფლაციამ 1990 წლის შემდეგ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია - ოქტომბერში სამომხმარებლო ფასები თ/თ 0.9%-ით (მოსალოდნელი 0.6%-ის ნაცვლად), წლიურად კი 6.2%-ით (მოსალოდნელი 5.9%-ის ნაცვლად) გაიზარდა. ამ მხრივ, გასული თვე გამონაკლისი არ იყო და წინა შვიდი თვიდან ხუთის შემთხვევაში ფასების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებელი მოსალოდნელს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, რაც არსებული ინფლაციის გარდამავალ ბუნებასა და ბოლო რამდენიმე FOMC შეხვედრაზე გაცხადებულ ფედერალური სარეზერვო სისტემის სამომავლო რბილ პოლიტიკას ეჭვქვეშ აყენებს. ამრიგად,

**დეპოზიტების ზრდა ვალუტების მიხედვით (თ/თ, სავარაუდო შენობის მონაცემები, ლარი გაცვლითი კურსის უფაქტის გამორიცხვით)**



შენიშვნა: მთავრობის დეპოზიტების გამორიცხვით; ოქტომბრისა და ნოემბრის შეფასებები ეყრდნობა M2-ისა და M3-ის დღიურ დინამიკას; 9-ნოემბრის მონაცემები წყარო: სებ, თიბისი კაპიტალი

**არჩევნები და დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი**




წყარო: სებ, თიბისი კაპიტალი

ბაზრის მონაწილეების უმეტესობა 2022 წლის ივნისის კომიტეტზე განაკვეთის ზრდას ვარაუდობს. აშშ-ის მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მოლოდინების გადმოწვასთან ერთად დოლარი ევროსთან მიმართებით ერთ დღეში 7%-ზე მეტით გამყარდა.


რა შეგვიძლია ვთქვათ სამომავლოდ? მოკლევადიან პერიოდში, დოლარის გაძლიერების ალბათობა როგორც ჩანს უფრო მაღალია, თუმცა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ ფსონს მაინც [შედარებით ძლიერ ევროზე ვდებთ](#). რაც შეეხება ლარს, [ჩვენი მოლოდინი](#) ძირითადად უცვლელია - სავარაუდოდ, ლარზე მოთხოვნა გაიზარდება, მაგრამ, ამავდროულად გლობალურად აშშ დოლარის გამყარებას გასათვალისწინებელია.

**CPI და PCE ინფლაცია აშშ-ში (%)**




წყარო: U.S. BLS

**ბაზრის მოლოდინი სამოქალაქო FOMC-ჯგუფის პოლიტიკის გამაძვრებაზე (% ალბათობა)**




წყარო: CME

**ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (პროცენტული გადახრა პერიოდის საშუალოდან)**




შენიშვნა: 12-ნოემბერი-2021-ის მდგომარეობით; ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას  
წყარო: სებ, შესაბამისი სტატისტიკის ოფისები, თიბისი კაპიტალი

**ლარის რეალური გაცვლითი კურსები (იან-14 = 100)**



შენიშვნა: 12-ნოემბერი-2021-ის მდგომარეობით; ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას  
წყარო: სებ, შესაბამისი სტატისტიკის ოფისები, თიბისი კაპიტალი

**საპარტოვლოს სავაჭრო პარტნიორების სავალუტო კურსები აშშ დოლართან (1-ნაქ-2021 = 100)**



შენიშვნა: 12-ნოემბერი-2021-ის მდგომარეობით  
წყარო: სებ

**მიმდინარე კვირის ანონსი:**

- 15 ნოემბერი – საგარეო ვაჭრობის ექსპრეს მონაცემები, 2021 წლის ოქტომბერი;
- 15 ნოემბერი – ფულადი გზავნილები, 2021 წლის ოქტომბერი;
- 19 ნოემბერი – სამუშაო ძალის მაჩვენებლები, 2021 წლის III კვარტალი;
- 19 ნოემბერი – საგარეო ვაჭრობის დეტალური მონაცემები, 2021 წლის ოქტომბერი;
- 19 ნოემბერი – სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, 2021 წლის ოქტომბერი.







თიბისი კაპიტალი